ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5892925

ნომერი: AR1891129

თარიღი : 04.04.2022

გაცემის თარიღი : 11.04.2022

გაცნობის თარიღი : 11.04.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 38 , (ნაკვ. 02/047);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევანი ოქროპირიძე პ/ნ 35001052365
- რუსთვი, მე-17 მკრ, კორ. 17 ბ. 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 04 აპრილს №AR1891129 განცხადებით მომართა ლევანი ოქროპირიძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 31 მარტის

№5873925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულების მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანებით ქალაქ თბილისში, კაიროს ქუჩა №38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.21.002.506) საწყობის (სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი მაცივრებისთვის) და საოფისე შენობის (არაუმეტეს საერთო ფართობის 25%-ისა) მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: განმცხადებელი უთითებს, რომ ბრძანების ფუნქცია/დანიშნულების ველში: საწყობის და საოფისე შენობის ნაცვლად მითითებულია რკინის საამქრო.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 17 თებერვლის №AR1879197 განცხადებით საწყობის (სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი მაცივრებისთვის) და საოფისე შენობის მშენებლობის მიზნით მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. აღნიშნულ განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობების განთავსების სქემა, რომელშიც საპროექტო ობიექტად მონიშნული იქნა საწყობი და საოფისე შენობა. ასევე, ობიექტის ფუნქციური დანიშნულების ველში მითითებულ იქნა სასაწყობე და საოფისე შენობები. სამსახურმა იმსჯელა საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულება არასწორად დაფიქსირდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანებაში და ბრძანების ფუნქცია/დანიშნულების ველში „რკინის საამქრო“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს: „საწყობი (სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი მაცივრებისთვის) და საოფისე შენობა (არაუმეტეს საერთო ფართობის 25%-ისა)“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 31 მარტის №5873925 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.